



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030128627162220

№ 01-34/თ

31 / იანვარი / 2020 წ.

## მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით გასატარებელ დროებით ღონისძიებათა შესახებ

„შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (11 დეკემბერი, 2019 წ. N5461-1ს) მე-2 მუხლის, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის N145 დადგენილების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 და მე-3 მუხლების, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. მეურვეობისა და მზრუნველობის ფუნქციის სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოდან“ სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში (შემდგომში - **ზრუნვის სააგენტო**) გატანასთან დაკავშირებით, **პროცესების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით, განისაზღვროს გარდამავალი ეტაპი (2020 წლის 1 თებერვლიდან პირველ მაისამდე), რა დროსაც განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:**

**1. პროცესების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად,** სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ ტერიტორიული ერთეულები გამოყენებულ იქნეს ზრუნვის სააგენტოს საქმისწარმოების მიზნებისათვის. კერძოდ, დაევალოს სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ ზრუნვის სააგენტოსთან შეთანხმებით (კოორდინაციით) განსაზღვროს შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები/ თანამშრომლები დოკუმენტაციის მიღებისა და მისი ზრუნვის სააგენტოსთვის გადაცემის მიზნით (სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სახელზე შემოსული კორესპონდენციის მიღება/გატარება, დოკუმენტზრუნვის ელექტრონულ პროგრამაში ატვირთვა, გადაგზავნა და შესაბამისი მატერიალური სახის დოკუმენტების (დედნები, დანართები და სხვა) სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს შესაბამის პასუხისმგებელი პირ(ებ)ისათვის გადაცემა).

### **2. პროგრამების შეუფერხებელი ადმინისტრირების უზრუნველსაყოფად:**

ა) „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის N145 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის შეუფერხებელი განხორციელებისა და მათი გაცემის ძირითადი პრინციპების დაცვის უზრუნველსაყოფად, რეინტეგრაციის შემწეობის, მინდობით აღზრდის ანაზღაურებისა და სრულწლოვანზე ოჯახური მზრუნველობის ანაზღაურების გაცემა/დაფინანსება განხორციელდეს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მიერ სააგენტოს მომზადებული დაფინანსების რეესტრის შესაბამისად. ამასთან, გარდამავალ პერიოდში რეინტეგრაციის შემწეობის, მინდობით აღზრდის ანაზღაურებისა და სრულწლოვანზე ოჯახური მზრუნველობის ანაზღაურების ერთობლივ ადმინისტრირებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განხორციელდეს სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოსა“ და ზრუნვის სააგენტოს შორის ურთერთშეთანხმებით;

ბ) საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N670 დადგენილებით დამტკიცებული სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2020 წლის სახელმწიფო პროგრამის ქვეპროგრამების ფარგლებში მიმწოდებლების მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება, მიუხედავად ვალდებულების წარმოშობის პერიოდისა, 2020 წლის 1 თებერვლიდან შემდგომ პერიოდში განხორციელდება ზრუნვის სააგენტოს მიერ,

გარდა იმ ქვეპროგრამებისა, რომლის ფარგლებშიც სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პროგრამის მიმწოდებლებთან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით. . შესაბამისად, ამავე პროგრამის ფარგლებში მოქმედი ქვეპროგრამებით მოსარგებლე პირებისთვის პირველ თებერვლამდე გაცემული ვაუჩერები ანაზღაურებულ იქნეს ზრუნვის სააგენტოს მიერ სათანადო ქვეპროგრამის პირობების გათვალისწინებით;

გ) ზრუნვის სააგენტომ და სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტომ“ უზრუნველყონ დებულებებითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად მონაცემთა გაცვლის მექანიზმის შექმნა, მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით;


დ) ზრუნვის სააგენტოს მიერ უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფო მეურვეობის/მზრუნველობის ქვეშ მყოფ შესაბამის არასრულწლოვანთა შესახებ მონაცემთა რეესტრის სსიპ – დევილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსთვის მიწოდება. აღნიშნული მიზნებისთვის, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ არსებული ფორმები, სააგენტოებს შორის ინფორმაციის მიწოდების ახალ ფორმატზე შეთანხმებამდე;

ე) მეურვეობა/მზრუნველობის ფუნქციის კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცესების უწყვეტობის მიზნებისთვის სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ უზრუნველყოფილ იქნეს მეურვეობა-მზრუნველობის/მხარდაჭერის მიმართულებით 2020 წლის 1 თებერვლამდე ან გარდამავალ ეტაპზე დაწყებული სასამართლო/აღსრულების საქმეების წარმოების მხარდაჭერა. ამ მიზნით, გამოყოფილ იქნეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირ(ებ)ი, რომლებიც ზრუნვის სააგენტოს გადანაცვებით გაანახორციელებენ შესაბამის წარმომადგენლობას;

ვ) მუშაობის პროცესში გამოკვეთილი სხვა საკითხები დარეგულირდეს სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოსა“ და ზრუნვის სააგენტოს შორის ურთიერთშეთანხმებით.

მუხლი 2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი



ეკატერინე ტიკარაძე